ეროვნული
ბიბლიოთეკა





ფანჩიკი: ჩემს მეტი მოსახსნელი
ვერავინ ნახე?!

№ 3 (1349) თებერვალი 1971

# ნიანგი

გამოცემის 48-ე წელი ფასი 20 კაპ.



# ნიანგის საქამანდო პუნქტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი იურიდიული კონსულტაცია

**კითხვა:** ვმუშაობდი გარდაბნის მუშათა კოოპერატივის № 9 პავილიონში მებუფეტედ. ლულა-ქაბაბი, ხინკალი, ლუდი, არაყი და კონიაკი ბუფეტში თავზესაყრელად მქონდა. კლიენტებსაც ვერ დავემდურები: ხმის ამოუღებლად იხდიდნენ იმდენს, რამდენსაც ვეტყოდი, რაც ენით წამომცდებოდა.

ამას წინათ პავილიონში შემოვიდა ოთხი მოქალაქე. ისაუზმეს და ანგარიში მომთხოვეს. ვინაიდან მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ნაღრძობი მქონდა, არც წერა შემეძლო და არც საანგარიშო კოჭების ჩამოყრა (საერთოდ, საანგარიშოს სულაც არ ვხმარობდი, რა საჭირო იყო!), ზეპირად ვუთხარი დანახარჯის ღირებულება. მათ ფული კი გადამიხადეს, მაგრამ რატომღაც ეჭვი შეეპარათ მის სისწორეში და დანახარჯი ზუსტად მაანგარიშებინეს... ამიტყდნენ 1 მანეთი და 58 კაპიკი ზედმეტი გადაგვახდევინეო. ამაზე აქტი შემიდგინეს და...

ამ საჩივარს სპეციალური კაცის ხელით გიგზავნი (გარეთ გამოსვლის უფლება არა მაქვს). გთხოვთ მიპასუხოთ: მანეთსა და 58 კაპიკზე წელიწადნახევარი მეყოფა თუ არა?

ალი ალიევი ჯემალ ოღლი

**პასუხი:** რადგან ანგარიში არ გყვარებიათ, სულ მალე სხვები გიანგარიშებენ წლებსა და თვეებს. თქვენ მაგით თავს ნუ შეიწუხებთ!

კონსულტანტი ვ. ნიკოლოზიშვილი



## ქორვაჭარ მიხოს სიმღერა

მღერიან ლესელიძის ქუჩაზე

სისხამ დილით მუშტარს ვიჭერ,
სიტყვას ვისვრი უცებ ბანზე,
ვათამაშებ გოგო-ბიჭებს
ჩემს იმპორტულ დაირაზე.

დღეს ნაშოვნი დღეს დავხარჯო,
არ მაბია. განა თავი?
ბაზა — ჩემი ქონებაა,
ქუჩა — ჩემი შემნახავი...

გაიპარე,
ვიღაც უსტვენს,
გენაცვალე!

წვენს თუ მინდა, ქვას გავადენ,
,,ლევს" ღმერთი არ გამომილევს,



რაც მაქვს, სამმაგ ფასს დავადებ,
ჩავუცინებ დაბოღმილებს.

უქმე დღესაც არ ვარ უქმად,
მე თქვენსავით არ მაქვს ვალი,
ვენაცვალე არამ ლუკმას,
არც ის არი მაწყინარი!..

გაიპარე,
ვიღაც უსტვენს,
გენაცვალე!

არ გადავთქვამ ერთხელ ნათქვამს,
ყველაფერი მიყვარს ნაღდი,
წამალს, ჩექმას, ჩანთას, ფართალს
ვიჭერ ჩემი ოქროს ბადით...

კარს ვერ ვტოვებ მაინც ღიად,
ვზვერავ ამ ჩემს შემოგარენს,
მოვკვდები და რა გგონიათ,
მარტო ქუჩა დამინანებს?!

გაიპარე,
ვიღაც უსტვენს,
გენაცვალე!

ზაზა კაციაშვილი

## ნიანგის საქამანდო პუნქტს!

**ჩვენს ქუჩას ზუგდიდში** ცელულოზის ქუჩას ეძახიან. ერთ დროს იგი მართლაც ცელულოზივით კრიალა და სუფთა იყო, არც თხრილები გვაწუხებდა და არც — ტალახი, მაგრამ ახლა გაჩნდა უშველებელი ორმოები, რომლებშიც დაგუბებული წყალი არც წყალტუბოს მინერალურ ტიპს მიეკუთვნება და არც — მენჯისას. განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა მე-4 შესახვევში, სადაც შესვლა ან ვერტმფრენით უნდა მოხდეს. ან კიდევ — ჯადოსნური ხალიჩით. ჩვენ, ასე თუ ისე, ვუძლებთ უსუფთაობას, მაგრამ ჩვენს ქუჩაზე უცხოდ შემოსული გამვლელნი დააღებენ ხოლმე პირს და ჩვენი საბჭოს ზოგიერთ მუშაკს (ვისაც გზების შეკეთება აქვთ დავალებული) ისეთი სიტყვებით იხსენიებენ, რომ მაღლა ჩვენ ვწითლდებით და დაბლა — დედამიწა. ამიტომაც, ძალიან გთხოვთ, აღგვიძრათ შუამდგომლობა, რათა ჩვენს ქუჩას, ცელულოზის მაგივრად, ტალახიანი დაარქვან, ხოლო ქუჩის ბოლოს ქალაქის საყოფაცხოვრებო კომბინატმა, თუ სხვა არაფერი, აბანო და სამრეცხაო მაინც გახსნას, რომ ტალახში ამოვლებულები პირდაპირ აბანოში შევიდნენ. ასევე, ურიგო არ იქნება, თუ ჩვენი ვაჭრობის მუშაკები სპორტულ მაღაზიაში შემოზიდავენ ოჩოფეხებს, რითაც შევძლებთ ქალაქში გასვლასა და დაბრუნებას.

პატივისცემით **ორმო ტალახაძე**

**ტყიბულში,** ლენინის სახელობის შახტის ახალდასახლებაში, 3000 მაცხოვრებელია. სამჯერ სამი ათასი მადლობა ჩვენი შახტისა და ქალაქის საბჭოს ზოგიერთ ხელმძღვანელს! მათი ზრუნვით არის, რომ ახალდასახლებაში ცხოვრება დუღს და გადმოდუღს... მართალია, ჩვენამდე მოსასვლელი საავტომობილო გზა არ ეკადრება არც ტყიბულს, და, მით უმეტეს, ისეთ კეთილმოწყობილ დასახლებას, როგორც ჩვენია, მაგრამ რას ვიზამთ: ყველა ხომ ავტობუსით არ ივლის? ამ დალოცვილ მამაზეციერს ადამიანისთვის ფეხები იმისთვის მიუცია, რომ უგზო და შეუკეთებელ საავტომობილო გზებს გადაევლოს და გადმოევლოს, გადახტეს და გადმოხტეს. მაგრამ ერთ რამეს მაინც ვფიქრობთ და ვერ მოგვიფიქრებია: ნეტავ, სად დაიკარგნენ ის მუშაკები, რომლებსაც გზის მეთვალყურეობა აქვთ დაკისრებული, დღე ერთია და ნახვის ნატვრა — სამი ათასი! იქნება, მოდიან კიდეც და ჩვენამდე ვერ მოუღწევიათ (გზის 50 მეტრი განსაკუთრებით სავალალოა). თუ ვინიცობაა, ამ წერილის მიღების შემდეგ, დააპირებენ წამოსვლას, ძალიან გთხოვთ, თარიღი შეგვატყობინოთ, რომ წინასწარ შევიარაღდეთ თოკებითა და სხვა მაშველი ლაფსაწინააღმდეგო იარაღებით!

ვ. კახელიშვილი

## ზომები მიღებულია

თბილისში, ,,თემქის" დასახლებაში, II კვარტალის 28-ე კორპუსი ძვირფას ადგილზეა აშენებული, ღმერთმა ააშენოს მისი ამშენებელი!

სახლი ზღვის დონიდან საკმაოდ მაღალ დონეზეა, სამაგიეროდ იქ მცხოვრებთა კეთილმომსახურების დონეა დაბალი.

მერე რა ვქნათ, რომ I-II-III სადარბაზოებში ლიფტების დამონტაჟება დღესაც არ არის დამთავრებული. სამაგიეროდ, ქალაქის სახალხო კონტროლის კომიტეტმა, ჯერ კიდევ გასული წლის 12 ივნისს მისწერა წერილი ,,სოიუზლიფტის" მმართველს ლიფტების უმოქმედობის შესახებ. იმავე ლიფტების დამონტაჟებას მიუძღვნა თავისი წერილი ქალაქის საბინაო სამმართველომ (1970 წლის 20 აპრილი, № 36-101), რომლითაც თბილისის საქალაქო სამმართველოს უფროსს შეახსენა ჩაჟანგებული ლიფტების თაობაზე. იმავე თარიღით ქალაქის საბინაო სამმართველომ ლენინის რაიონის საბინაო სამმართველოს უფროსს აცნობა: ,,საცხოვრებელი სახლების წინ გაზონებისთვის განკუთვნილი ადგილები აგრეთვე არ არის ასფალტირებული, სავალი ნაწილები არ სუფთავდება სისტემატურად, აგრეთვე არ არის დარგული მწვანე ნარგავები, სადარბაზო შესასვლელები არ სუფთავდება და სხვ." ამასთან, ავალებდა მიღებული ზომების შესახებ სასწრაფოდ ეცნობებიათ მობინადრეებისთვის.

ქალაქის საბჭოს საბინაო სამმართველომ არც სატელეფონო ქსელის სამმართველო დაივიწყა და იმასთანაც სასწრაფო ბარათი აფრინა, რომლითაც სთხოვდა, ხილად მაინც დააყენეთ ,,თემქის" დასახლებაში ერთი სატელეფონო ჯიხური, სასწრაფო დახმარებას რომ გამოუძახონო.

ჩაბნელებული გზების განათების შესახებ ,,თელასის" სამმართველომაც მიიღო წერილი, მაგრამ იგი დღესაც რომელიღაც უჯრის რომელიღაც კუთხეშია მიგდებული...

ასე რომ, ქაღალდები ზუსტად იმდენია, რამდენიც საქმეს სჭირდება. მართალია, ამით საქმეს არაფერი წამატებია, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს, ზომები ხომ მიღებულია?!.

სერგო აბაიშვილი

# სპორტული ზღაპარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ო. ჯიშკარიანისა



— გაზეთში რაღაც განიარაღებაზეა ლაპარაკი და ჩვენც ხომ არ გვეხება, თუ იცი?

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ძალიან მდიდარი კაცი, სახელად სპორტს ეძახდნენ. ჰყავდა ექვსი ვაჟი, ერთმანეთზე უკეთესი: ჭიდაობა, ფეხბურთი, კალათბურთი, წყალბურთი, ფრენბურთი და ხელბურთი. უფროსი ვაჟი — ჭიდაობა ყველაზე ღონიერი იყო, მთელს ქვეყანაზე მისი მომრევი არავინ ჩანდა.

ერთ დღეს მამამ შვილები დაიბარა და უთხრა:

— შვილებო, პატარები აღარა ხართ, ამოდენები დამეზარდეთ და ახლა ოჯახს თქვენ უნდა მიხედოთ. რასაც იშოვით, შინ მოიტანეთ და სიხარული ყველამ გავინაწილოთო.

წავიდა საშოვარზე ჭიდაობა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ცხრა მთა გადაიარა, ჰელსინკი არ დაუტოვებია და ტოკიო, იშოვნა ბაში-აჩუკი, კანდელაკი, მეკოკიშვილი, კარტოზია, ბალავაძე, რურუა და კიდევ სხვა მრავალი მარგალიტი. „ახლა მეყოფაო“- თქვა, წამოწვა მხართეძოზე და საღათას ძილს მიეცა.

წავიდა საშოვარზე ფეხბურთი და იშოვა „დინამო“. შინისკენ რომ ბრუნდებოდა, გზაზე „ლოკომოტივი“ შემოეყარა. „ორივეს ერთად რა ატარებსო,— თქვა ფეხბურთმა და „ლოკომოტივსაც“ „დინამოს“ ტომარაში გადაუძახა. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, შემოხვდა „სპარტაკი“. „ორ ტომარას რა წამაღებინებსო“, — თქვა და „სპარტაკიც“ „დინამოს“ ტომარაში მოაპირქვავა. წამოიკიდა ზურგზე და მიდის. ერთიც ვნახოთ, გზაში „ტორპედო“ შეეხვეწა: მეც წამიყვანეო. „მამა გიცხონდა, ორი ტომარა მევასება ახლა მეო?“ — ქუთაისურად მოუქცია ფეხბურთმა და „ტორპედოც“ „დინამოს“ ტომარაში მოაქცია .ამ ტომრების გადარჩევაში რომ იყო, ზოგი ვერცხლი ოქროდ მოეჩვენა, ზოგი ოქრო — ვერცხლად, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა — „მაინც მდიდარი ვარ და ამათ გასარჩევად სად მცალიაო“. სახლში რომ მივალ, თუ ბევრი ტომარა მიმყვა, სულ ოქროებს მომთხოვენ, აუტკივარი თავი რად ავიტკიოო. კაცს რომ ბევრი აქვს, უფრო ხარბი ხდებაო. ზედ სახლის კარებთან კიდევ ერთი „ლოკომოტივი“ შემოხვდა.

— ვინ ხარ შენო?

— „ა“ კლასის გუნდი ვარო.

— მარგალიტები თუ გყავსო?

— შე კაცო, მარგალიტები ნიჟარებისაგან კეთდება, მაცალე და მეყოლებაო.

— დამეკარგე თავიდანო! — შეუბღვირა ფეხბურთმა და მეორედ გაჩენილი „ლოკომოტივი“ სულ გააქრო.

მოიტანა ფეხბურთმა სახლში ტომარა, მაგრამ ვერ შეამჩნია, რომ გზაში ძირი გახვრეტოდა და მარგალიტები სულ დაფანტვოდა...

წავიდა საშოვარზე კალათბურთი და შინისკენ წამოიღო ევროპის ჩემპიონთა თასი. გზაში დაკარგა. „მერე რა მოხდაო, — გაიფიქრა, — საბჭოთა კავშირის ჩემპიონის მედლები ხომ თანა მაქვსო“. ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ეს მედლებიც დაკარგა. „მერე რა მოხდა, საბჭოთა კავშირის თასი ხომ მაინც შემრჩაო“. მაგრამ სახლში მისვლამდე ესეც დაკარგა, ზედ ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებიც მიაყოლა. მაინც კმაყოფილი იყო: „შინ ხომ მშვიდობით დავბრუნდიო“.

წავიდა საშოვარზე წყალბურთი. ბევრი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი იშოვა. ეშინოდა, ვაითუ ესეც დავკარგო, ოქროს მედალს ვინღა დაეძებსო. როგორ გაუხარდა, როცა ერთბაშად ყველაფერი დაკარგა — რა კარგია, ახლა დასაკარგავი აღარაფერი დამრჩა და მშვიდად ვიქნებიო.

მერე ხელბურთი წავიდა საშოვარზე. უფროს ძმებს არც ის ჩამორჩენია: ოქროს და ვერცხლის მედლებიც იშოვა. ოქროს რომ კარგავდა, ვერცხლს პოულობდა. მაგრამ ბოლოს კი ვერც ერთს ვერ მიაგნო.

სულ ბოლოს ფრენბურთი წავიდა, ცოტა რამ იშოვა, „ა“ კლასის ბედაურზე იჯდა, მაგრამ გზაში სადღაც დაეკარგა და შინ „ბ“ კლასის სახედრით მივიდა...

სპორტს კიდევ სხვა შვილებიც ჰყავდა: მძლეოსნობა, ტანვარჯიში, კრივი, ძალოსნობა და მრავალი სხვა. არც ერთი შვილი არ გამოადგა: რაც ჰქონდათ, ყველაფერი დაკარგეს. გაალარიბეს მამა-სპორტი. მან შვილებს შესჩივლა:

— თითქოს ზრუნვა არ დამიკლია, ტელევიზიაში სულ თქვენით ვტრაბახობდი და ეს რა მიყავით, სპარტაკიადაზე როგორ გავიდე, მეხუთე ადგილი უკვე სანატრელი გამიხდებაო...

ჭიდაობამ უთხრა:

— მეშვიდეზე გადი, შე კაცო, გიშლის ვინმე თუ რაო.

ფეხბურთი შეეკითხა:

— კი მაგრამ, შენ რა გააკეთე ჩვენთვისო?

სპორტმა თქვა:

— მე გავაჩინე ნონა გაფრინდაშვილიო.

ფრენბურთმა უთხრა:

— ჯერ რომ საჭადრაკო კლუბი არ აგიშენებიაო?

სპორტმა თქვა:

— ომარ ფხაკაძეზე რაღას იტყვითო?

ხელბურთმა ცერცვაძესავით ხელუკულმა ტყორცნა სიტყვა.

— ეგ რომელ ტრეკზე ვარჯიშობდაო?

სპორტი გაცხარდა: ალექსანდრე მეტრეველი ხომ ჩვენი აღზრდილიაო.

კალათბურთმა მიუგო:

— შენ რომ ჩოგბურთის კორტები გაქვს, როგორ არ გაიზრდებოდაო!

— თინა ლეკვეიშვილზე ხომ ვერაფერს იტყვითო!

— თუ გინდა მაგაზეც ვიტყვითო, — უპასუხეს.

სპორტმა ხელები გაასავსავა: „რა კაცი ვარ აბა მეო!“

წყალბურთმა აუხსნა:

— შენს ბედზე ვარსკვლავები ციდან ცვივა. ფიქრად რომ არ მოგსვლია, ისეთი ვარსკვლავიც შეიძლება დაიბადოს, მაგალითად ბობსლეიში ან ბალახის ჰოკეიშიო.

სპორტმა მოხსენება წაიკითხა:

— წელს ხუთასი სპორტის ოსტატი მოვამზადე, ხუთასი ათასი — თანრიგოსანი, ხუთ მილიონამდე პოტენციური ჩემპიონი კიდევ მეგულება ჩვენს რესპუბლიკაში და რას მერჩითო.

ფეხბურთმა უთხრა:

— როგორც ყოველთვის, შენ მართალი ხარო. აი მეც ძალიან მძიმე ტომარა მქონდა, შინ მოტანა მეზარებოდა და ამიტომ ოქროს ყველაზე უფრო მძიმე ზოდებს გზაში ვფანტავდი. ვფიქრობდი, ისედაც მდიდარი ვარ და რად მინდა ანდრო ჟორდანია, მიხეილ მესხი, ვალტერ სანაია, ანზორ კავაზაშვილი, ანდრო ზაზროევი და სხვები, გაუმაძღრობაში ჩამომართმევენო.

წყალბურთმა თქვა:

— რასაცა გასცემ შენია, რას არა, დაკარგულია. ჩვენც ასე გავეცით და შევიძინეთ მშვენიერაძე, გვახარია, ჩიქვანაია და სხვებიო.

მამა-სპორტი მიხვდა, რომ ღვიძლმა შვილებმა უმტყუნეს. ქართული ჰოკეი იშვილა. გაეხარდათ ღვიძლ შვილებს: ამას ხომ მაინც ვჯობივართო და ამის შემდეგ ყველანი ცხოვრობდნენ არხეინად: არც არავის აწუხებდნენ და არც არავინ აწუხებდა...

რომან მიმინოშვილი

ნახ. გ. ფირცხალავასი



— რად გინდა, კაცო, ორი ერთნაირი ქუდი?
— სამსახურიდან რომ ვიპარები, ერთს ოთახში ვტოვებ.

# „ატენური"

**ერთ** შინაურ წვეულებაზე, როცა ხალხს სალაპარაკო გაუთავდა, ღვინოების ღირსება-ხარისხზე ჩამოვარდა ლაპარაკი. ბოლოს ვილაცამ თქვა: ნახევრადშამპანური თბილისური ღვინო „ატენური" კარგი რამეა, მხოლოდ მისი უფათერაკოდ გახსნა კითქმის შეუძლებელიაო. ტარიელ სვანმა თქვა, ამ „ატენურმა" მარტო საქართველოში ორასამდე დანიშნული აბესალომ და ეთერივით გაყარაო. როგორო, ჰკითხეს, როგორ და, სიძე, ან სასიძო ქალის ოჯახში დააპირებს თქვენგან მოწონებული „ატენურის" გახსნას, „ატენური" იფეთქებს ხოლმე და სტუმრებს, მასპინძლებსა და მტერ-მოყვარეს თავს გადაესხმებაო. ქალისიანებს ჰგონიათ, სიძემ ეს განგებ ჩაიდინაო და ამ ამბავს ყოველთვის უსიამოვნება მოსდევსო. ეს ღვინო მართლაც ასე ფეთქდება, მაგრამ ორასამდე დანიშნულის გაყრისა რა მოგახსენოთ. ტარიელ სვანს ყველაფერი კი არ დაეჯერება.

ამას წინათ ფილიპე კეკუამ ახალი ბინა მიიღო და მე და შალიკო მოგვიანებით მივედით. მასპინძელს გაეხარდა და მაღაზიიდან სამი ბოთლი „ატენური" ამოიტანა. დალევას სულაც არ ვაპირებდით, ფეხბურთზე მივეჩქარებოდა, მაგრამ ფილიპე არ მოგვეშვა, ჭერი დამილოცეთო.

ფილიპეს ცოლ-შვილი აგარაკზე ჰყავდა და რაც სახლში დახვდა და სახელდახელოდ იყიდა, ის გამოგვიტანა. მასპინძელმა „ატენურის" ბოთლი აიღო და გახსნა დააპირა. ქაჩა და ქაჩა საცობს. უეცრად რაღაცამ იგრიალა. პირველად მიწისძვრა გვეგონა. ფერდაკარგულ და აკანკალებულ მასპინძელს ცარიელი ბოთლი ეჭირა ხელში, სულელურად იცინოდა და ღვინით შეღებილ ოთახის ჭერს და კედლებს ათვალიერებდა. ერთი წვეთი რაა, ისიც კი არ დარჩენილიყო ბოთლში.

მე და შალიკომ ბევრი ვიცინეთ, თუმცა სასაცილო იქ არაფერი იყო. ახალი ბინა კაცს სარემონტო გაუხდა. ფილიპეს ცხვირი მაინც არ ჩამოუშვია და ერთი საყვედური არ უთქვამს.

ფილიპეს ვუთხარი, შამპანურის გახსნა არ გცოდნია, ჩემო ძმაო, ბოთლი მომე, გაჩვენებ, ეს საქმე როგორ კეთდება-მეთქი.

ჩემს ოსტატობაში და მოხერხებულობაში ფილიპეს ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ მაინც მორიდებულად მთხოვა, თუ არ გეწყინება, ლოჯში გადი, ვინ იცის, რა მოხდებაო.

მასპინძლის სიფრთხილე სასაცილოდ არ მეყო, თუმცა რაღაც უცნაურმა წინათგრძნობამ მაშინაც შემაწუხა.

ნელ-ნელა, ნელ-ნელა ვქაჩე და ვქაჩე საცობი. ჩემი ჭკუით, ბოთლი გაზისაგან დავცალე და სწორედ იმ დროს, როგორ და რანაირად ახლაც ვერ ვიხსენებ, იატაკზე აღმოვჩნდი. შეშინებული ამხანაგები მომვარდნენ და წამომაყენეს. „ატენურის" ცარიელი ბოთლი ისევ ხელში მეჭირა. ასეთი განსაცდელის ჟამსაც ბოთლი ხელიდან არ გამივდია. ჩემი მხრიდან ესეც დიდი ვაჟკაცობა იყო. ლოჯის კედლები და შუშაბანდის ფარდები ღვინით იყო მოსვრილი. ეს არაფერი, მთავარია, შენ რომ გადარჩიო, მანუგეშა მასპინძელმა.

და ბოლოს შალიკოს ჯერი დადგა. შალიკომ ბევრი იცინა და თქვა: არც ერთი არ ვარგებულხართ, ასე მგონია, შამპანური პირველად ნახეთო. მესამე ბოთლი შეათამაშა და ნიშნის მოგებით გადმოგვხედა.

ყველამ იცით, შალიკოს ღონეც ერჩის და ნერვებიც უვარგა, მაგრამ მე და ფილიპემ, ყოველგვარი მოულოდნელობის თავიდან აცილების მიზნით, შალიკო აბაზანაში შევგზავნეთ. მანამდე ფილიპემ ბევრი ეხვეწა, მოეშვი მაგ უპატრონო ბოთლს, არაფერი მოგწიოსო, მაგრამ შალიკომ თუ რამე თქვა, ვინ გადაათქმევინებს. იგი კოსმონავტივით დაგვემშვიდობა და სააბაზანოს კარი მიიკეტა.

მე და ფილიპე დაძაბული ვისხედით მაგიდასთან, აღარც ჭამა გვინდოდა, აღარც დალევა. შალიკო, ეტყობოდა მაინცდამაინც არ ჩქარობდა. ასე ამ ყოფაში გავიდა გულისგამაწვრილებელი ორი წუთი. ეს დრო ჩვენ საუკუნედ მოგვეჩვენა. ალბათ ყველას გამოგიცდიათ, რა ცუდია, როცა გვერდით გასროლას ან აფეთქებას ელოდებით. ვისხედით და ვიცდიდით. უსაზღვრო იყო ჩვენი მოლოდინი. აბაზანიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. ვიფიქრე, შეიძლება ყველაფერი უხმაუროდ მოგვარდა-მეთქი.

...ამის გაფიქრება და... საშინელმა გრიალმა შეაზანზარა რვასართულიანი სახლი. მერე ყველაფერი მიწყნარდა.

ფილიპემ მითხრა, სააბაზანოში შედი, გაიგე რა მოხდა, ხომ იცი, მე ცუდი გული მაქვსო. მფრინავის გული არც მე მქონდა, მაგრამ რას ვიზამდი... საბედნიეროდ კარი გაიღო და სახეგაბრწყინებული შალიკო გამოვიდა. „ატენურის" ბოთლი ხელში ჩირაღდანივით ეჭირა. ბოთლის ფსკერზე სულ ცოტაოდენი ღვინო შემორჩენილიყო.

შალიკოს მოხერხებულობამ და გამბედაობამ ჭეშმარიტად აღტაცებაში მოგვიყვანა.

დარჩენილი ღვინით სამი პატარა სათითის მსგავსი ჭიქა ძლივს შევავსეთ. სათითეები ავწიეთ. ახალი ბინა უკვე დასველებული გვქონდა, ამიტომ ოჯახი ვადღეგრძელეთ და სტადიონზე წავედით.

**რეზო ჭეიშვილი**

ნახ. მ. აბაშიძისა



ეროვნული ბიბლიოთეკა

— ტელევიზიიდან მოდიან გადაღებაზე და ამ მხრიდან ჩამოატარეთ!

## კოლექციონერი

ცხელოდა. დამსვენებლები პლაჟს აწყდებოდნენ. არცთუ მთლად საზღვაო სამოსელში გამოწყობილი ხანში შესული კაცი ნაპირ-ნაპირ დადიოდა და ზღვის კენჭებს აგროვებდა.

— მეგობარო, მობრძანდით აქ! — სწორედ მაშინ შეჰყვირა უცნობმა კაცმა, როცა ის წელში მოხრილი ერთ პატარა ნარინჯისფრად მოლივლივე ქვას დასწვდომოდა. მან გაკვირვებით მოხედა უცნობს.

— რას აკეთებთ, ამხანაგო, თქვენ? — მძვინვარებდა უცნობი.

— ვერ ხედავთ, კენჭებს ვაგროვებ, ბატონო...

— საქმეც იმაშია, რომ ვხედავ. თუ უკვირდებით რას ჩადიხართ? — ხმას აუწია უცნობმა, — მარტო ამ კურორტზე ყოველწლიურად ორასი ათასამდე კაცი ჩამოდის. აბა, წარმოიდგინეთ, ყველა მათგანმა რომ პლაჟიდან თითო ჩანთა ქვა წაიღოს; რა დარჩება აქ, რას დაემსგავსება შავი ზღვის სანაპირო?

საცოდავი კოლექციონერი მართლაც ჩაფიქრდა... ეტყობოდა, რომ გუნებაში უკვე ანგარიშობდა ზღვის კენჭების წლიურ დანახარჯს.

— კი მაგრამ, ბევრ ჩემ ნაცნობს ჩამოუტანია ზღვიდან კენჭები...

— სწორედ ამაშია საქმე. ასე ჩუმ-ჩუმად გააქვთ ზღვიდან კენჭები, — აღარ დააცალა უცნობმა და სხვებს მიმართა, — ნეტავ სად დაიკარგა პლაჟის მცველი?

მცველის გაგონებაზე საწყალი სულ დაიბნა.

—რად გინდათ მცველი?.

— ძლივს ამოილუღლუღა.— მე შემიძლია დავტოვო ეს ქვები.

— შეგიძლიათ კი არა, ვალდებული ხართ ახლავე ამოალაგოთ უკლებლივ ყველა. — როცა კაცმა მართლა დაიწყო ჩანთის დაცლა, უცნობმა თავი ველარ შეიმაგრა და სიცილით უთხრა:

— წვრილი კენჭები ამოალაგეთ, მსხვილი კი წაიღეთო.

როცა შეგროვილი ხალხის ხარხარი გაიგონა, მხოლოდ ახლა მიხვდა უიღბლო კოლექციონერი, რომ ყოველივე ეს ხუმრობა იყო და შებით ამოისუნთქა.

**ბურანდა ჩხარტიშვილი.**

## სასამართლო

სასამართლო გაიმართა,
ტურიკელა „სუდიობს",
მელა კურდღელს აბრალებდა—
შენ ხარ ხელებმრუდიო.

ამ დროს ციყვმა დაიძახა:
ქურდს ეწვება ქურქიო.
მელა უცებ წამოვარდა:
— ვაი, დედავ, კუდიო!

...ტურიკელამ მაინცა თქვა,
კურდღელია ქურდიო.

**კაფია ძიბიტაური.**

## „დაქვეითებული"

დირექტორის მძღოლი იყო,
ყველგან „ვოლგით"
დაქროდა,
უფროსისთვის საწყობიდან
სანოვაგე გაჰქონდა.

გამგე გახდა საწყობისა,
დირექტორის რჩევითა,
თუმცა „ვოლგა" აღარა
ჰყავს,
მიდის-მოდის ქვეითად.

**ნოდარ შამანაძე.**

ნახ. გ. ლომიძისა





უსიტყვოდ.

ნახ. ვ. კეციასი



უსიტყვოდ.



კახური კოკტეილი.

## პატრონი რომ მყოლოდა...

**სკოლაში** ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცი კაცის სახელი მქონდა გავარდნილი.

— აფსუს, ამას პატრონი ჰყავდეს, რა იქნებაო, — ერთხმად გაიძახოდნენ ჩემი აღმზრდელები.

მშობლებმაც მიპატრონეს და სკოლა... ოქროს მედლით დავამთავრე. ერთხელ ნაპატრონებს უპატრონოდ ვინ დამტოვებდა და სამედიცინო ინსტიტუტშიც მომაწყვეს.

— ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცია, — ახლა პროფესორმასწავლებლები ალაპარაკდნენ ჩემზე. პატრონმა ამჯერადაც მიპატრონა: უმაღლესი წარჩინებით დამამთავრებინა და ასპირანტურაშიც მომაწყო.

ასპირანტურაშიც იგივე განმეორდა: ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცია, პატრონი უნდაო. ჰოდა, პატრონი შუა გზაზე ხომ არ მიმატოვებდა? ასპირანტურაც დროულად დავამთავრე და არც ხარისხის დაცვა გამძნელებია.

დღეს ჩემი მშობლები მეცხრე ცაზე არიან: შეხედეთ, რა მეცნიერი შვილი გავზარდეთო.

ნაცნობები კი ახლა არც ნიჭიერს მეძახიან და არც ზარმაცს. ეტყობათ, მოსწყინდათ ამაზე ლაპარაკი. ერთს კი ამბობენ: ამას რომ პატრონი ჰყოლოდა, კაცი გამოვიდოდაო...

**რეზო მაჭავარიანი**

## ვინ არის დამნაშავე?

**სახალხო** სასამართლოში ერთი დამნაშავის საქმე ირჩეოდა. ბრალმდებელმა თქვა: ბრალდებულმა თანამდებობა ბოროტად გამოიყენა, გაფლანგა დიდძალი სახელმწიფო ქონებაო.

მეორე მოსამართლემ სიტყვა ბრალდებულის მამას მისცა. მან მზერა საბრალმდებლო სკამზე მოკუნტულ შვილს მიაპყრო:

— ზრუნვა და ყურადღება არ დამიკლია შენთვის, შვილო! უმაღლესში მე ჩაგიწყვე, ცხოვრების ფართო გზაზე მე გამოგიყვანე, ცალკე მე დაგაბინავე, ბინა, ძვირფასი ავეჯით მე აგივსე, ლამაზი ქალიც მე გამოგინახე, სამსახურშიც მე მოგაწყვე, სახარჯო ფულსაც ულევად გაძლევდი!..

დარბაზში მსხდომნი სინანულით აქნევდნენ თავებს: აფსუსი არ არის, ეს მამა და შვილი ცალ-ცალკე ისხდნენო?!..

**შალვა გულუა**

## პროფილი „მწერალი"

ამ „მწერალს" არ ჰქონდა პროფილი
და იყო „მწერალი" ზოგადად.
ციტატებს ისროდა თოფივით,
არც თავს და არც მკითხველს
ზოგავდა.

ეპოქის ნაღველი იტვირთა,
თავის ზურგს ქვეყანა მიანდო,
უტვინოს ტეტიურ ტიტინთან
ხმა ბევრჯერ ჩაუწყდა იადონს.

ამბობენ, სწავლობსო მექსიკურს
(ბავშვობის დროიდან ნატრობდა),
მეც ვიცი, სირიულ ლექსიკონს
უწუნებს თავფურცლის მხატვრობას.

იმისი წიგნების ქარავანს
ან წონა გააჩნდეს ან ფასი...
ამ „მწერალს" პროფილი არა აქვს
და ხშირად გვიყურებს ანფასით.

**ჯემალ ინჯია**

ნახ. ჯ. ლოლუასი



— მთელი ზაფხული ახლოს არ მიგვიკარა და ამ შუა ზამთარში რა დაემართა ჩვენს დირექტორს?
— ოთახს ათბობს, შე კაცო!

იანუშ ოსენკა

# შეხვედრა თავმჯდომარესთან

**ქუჩაში** შევხვდი სკოლის მეგობარს, რომელსაც რომელიღაც არტელის თავმჯდომარის პოსტი ეკავა. დიდი ხანი გავიდა, რაც აღარ შევხვედრივართ და ერთმანეთს ხელი სწორედ რესტორან „ნეზაბუდკას“ ახლოს ჩამოვართვით.

— მოდი, თითო ჭიქა არაყი დავლიოთ! — შევთავაზე მე, — თანაც „ნეზაბუდკაში“ გემრიელ კერძებს ამზადებენ!

— კეთილი, მაგრამ მხოლოდ თითო ჭიქა, — ხმა ამოიღო თავმჯდომარემ, — იცოდე, სამზარეულოდან არაფერს მოვითხოვთ!

— დიეტაზე ხომ არა ხარ? — შევეკითხე, როცა უკვე მაგიდას მივუსხედით და ოფიციანტმა მენიუ მოგვიტანა.

— თუ შეიძლება ითქვას, ნაწილობრივ კი,— მიპასუხა მან დაბალი ხმით, — შენ ხომ იცი, ისეთი პოსტი მიჭირავს, რომ უმადურობის მეტი არაფერია... ვერ წარმოიდგენ, როგორ მიყურებს ყველა ხელში. რატომ უნდა მივიპყრო ხალხის ყურადღება? ცოტაც რომ ვჭამო და დავლიო, იტყვიან ქეიფობს და დროს ატარებსო...

— საქმეები ხომ კარგად მიდის?

— ეჰ, სასაყვედურო რა მაქვს, მაგრამ ძალიან ფრთხილად კი უნდა ვიყო. საკმარისია, შენზე ეჭვი მიიტანონ, რომ დაიწყება საბუთების ქექვა, საწარმოს შემოწმება, რევიზია და ა. შ.

— კონიაკს ხომ არ დალევ?

— რას ამბობ, ამაზე ზედმეტია ლაპარაკი! არაყს დავლევ პატარა ჭიქით. კონიაკი ძალიან ძვირია, ეს მეტისმეტი დროსტარებაა!

— ლიქიორიც დროსტარებაა? — დავინტერესდი მე.

— ისე რომ ვთქვათ, ნახევრად დროსტარებაა. უკეთესი იქნებოდა, რისკი არ გაგვეწია. — ამიხსნა თავმჯდომარემ.

— იქნებ შნიცელი მიირთვა კვერცხით! მეც იგივეს მოვატანინებ!

— რას ამბობ, გაგიჟდი? გინდა, დამღუპო?! შნიცელი ხომ ნამდვილად დროსტარებაა, ბოლოს და ბოლოს, თუ ამაზე წავიდა საქმე. ბუფეტიდან ავიღებ ნახევარ კვერცხს...

ოფიციანტმა შეკვეთა მიიღო და რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენს წინ ორი ჭიქა არაყი იდგა.

— მოდი ერთი, წარმატების დავლიოთ! — შევთავაზე სადღეგრძელო (სასმელმა თითქოს ზიზღის გრძნობით შემანჯღრია), — შენ ყოველთვის ასეთ უბრალო არაყს სვამ? — შევეკითხე თანაგრძნობით.

— არა, — თქვა თავმჯდომარემ ჩურჩულით. — ხანდახან კონიაკისთვის შვილიშვილსაც კი ვაგზავნი ჩემი ცოლის ბიძასთან. მას იგი სკოლის ჩანთით მოაქვს ჩემთვის. შემდეგ ჩამოვაფარებ ფარდას და ვიწყებთ სმას, ხიზილალასაც ვაყოლებთ. ცხადია, ხიზილალის ქილას სანაგვე ყუთში ვერ გადავაგდებ, ესლა მაკლია, მეზობლებმა დაინახონ! ესეც, რასაკვირველია, დროსტარებაა; ამიტომ ვაეთებთ პარკს და ნაგავი ქალაქგარეთ გაგვაქვს.

— ერთი წუთით, ოფიციანტო! — შევძახე მე, — ორი ჩეხური ლუდი!

— რას შვრები?! — წამოიძახა შეშინებულმა თანამესუფრემ, — საზღვარგარეთული ლუდი? თუ ასე ძალიან გინდა, ჩვენი ლუდი მაინც დაგველია ერთი ბოთლი. ორი ბოთლი ჩეხური ლუდი ხომ ნამდვილი დროსტარებაა?!

— აბა, ერთი ბოთლი? — დავინტერესდი მე. — რა უფრო დროსტარებაა, ერთი ბოთლი ჩეხური ლუდი, თუ სამი ჩვენი?

— რა ვიცი, ალბათ, ერთი ბოთლი ჩეხური ნაკლები დროსტარება იქნებოდა, — ხმამაღლა თქვა თავმჯდომარემ, — მე თუ მკითხავ, ყველაზე უხიფათოა ჩამოსასხმელი ლუდის სმა პირდაპირ კასრიდან!

— იცი, რას გეტყვი? — გამახსენდა უცებ,— „ნეზაბუდკაში“, ამბობენ, შესანიშნავი კალმახიაო; დიდი ცოდვა იქნება, რომ არ გავსინჯოთ!

— კალმახი? — ენა დაება თავმჯდომარეს და შიშისაგან გაფითრდა, — ეს ხომ ყველაზე ძვირფასი თევზია? მისი მოტანა ხომ ნამდვილად სიგიჟეა! შეუძლებელია, კაცმა წარმოიდგინოს ამაზე მეტი დროსტარება! 8 წელზე ნაკლებს არ მომისჯიან!..

— ნუ გეშინია, შენ არ მოგიტანენ, — დავამშვიდე მე, — მხოლოდ ერთ ულუფას შევუკვეთავ ჩემთვის.

— იცოდე, წავალ აქედან! — გადაწყვიტა თავმჯდომარემ.

— დაჯექი, ნუ ნერვიულობ! — ვთქვი მე,— როგორ, უფლებაც არა გაქვს უყურო, ხალხი როგორ ჭამს კალმახს?

შევუკვეთე ერთი ულუფა. ოფიციანტმა მოიტანა. საჩქაროდ ჭამას შევუდექი.

— უჰ, რა შესანიშნავი რამეა! — წამოვიძახე აღტაცებულმა.

თავმჯდომარე მიყურებდა და ნერწყვს ყლაპავდა.

— მე ვითომ ფეხსაცმლის თასმებს ვიკრავ, შენ კი მომაწოდე ცოტა თევზი მაგიდის ქვეშ! — მთხოვა გამწარებულმა თავმჯდომარემ.

ავიღე ერთი ნაჭერი კალმახი და ჩავაპარე სუფრის ქვეშ. დიდად აღტაცებული ჩემი კოლეგა შეექცეოდა თევზის ნაჭერს მაგიდის ქვეშ.

— არაფერი მიჭამია ამაზე უკეთესი, —თქვა მან გაბრწყინებული სახით, — ასე მეგონა, პირში სამოთხე მქონდა. მოდი, რაც მოხდება, მოხდეს: შევუკვეთავ ჩემთვისაც ერთ ულუფას. ერთხელ შეიძლება, არაფერი არ მოხდება!..

მოუტანეს, შეჭამა და სიამოვნებისაგან კრუსუნებდა...

ეს იყო და ეს...

დავშორდით ერთმანეთს. ორი კვირის შემდეგ გაზეთში წავიკითხე სტატია სათაურით — თავმჯდომარე ნ-ის დაპატიმრება — „გუშინ საგამომძიებლო ორგანოებმა ფინანსების ბოროტად გამოყენებისათვის თავმჯდომარე ნ. დააპატიმრეს.

თავმჯდომარე ნ. დიდი ხანია იქცევდა ყურადღებას თავისი ფუფუნებასავით ფუქსავატური ცხოვრებითა და დროსტარებით“.

— მე მგონი,—გავიფიქრე ჩემთვის, — სწორედ იმ თევზმა აწყინა თავმჯდომარე ნ-ს.

პოლონურიდან თარგმნეს
აზა ანთელავამ და სტანისლავ რავიჩმა.

ნახ. მ. აბაშიძისა



— სად მიგყავს, ძია კაცო, ეს დალაქები?
— ცხვარში, აქ მაინც პარსვის გეგმას ვერ ასრულებენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ჯ. ლოლუასი



— მამაო, ღვთის გულისათვის, შვილს ვერ მომინათლავთ?!

## ნიანგის ინფორმაციები

### რატომ?
(გუდაუთის რ-ნი)

ახალი ათონის
რკინიგზის პლატფორმა
რატომ მოიძულა
ახალმა ათონმა?
ველური ბალახი
უძიძგნის დალალებს
აქ დარგულ ყვავილებს,
პალმებს და ბანანებს.
აუზიც ფსირცხისა
აავსო ქვა-ღორღმა,
კიდეზე მრავალი
ქვემძრომი დაღოღავს.
ფეხით გასასვლელი
აქ არის გვირაბი,
ნაგვით და სიბნელით
სავსეა პირდაპირ...
ახალი ათონის
რკინიგზის პლატფორმა
რატომ დააძველა
ახალმა ათონმა?

### პრობლემა

ძებნა პაპიროსის
ვერასგზით გადავდე,
„ლუქსსაც" და „მზიურსაც"
გაუჩნდეს ხანძარი! —
თუ უშვებს ფაბრიკა,
დახლებზე რად არ დევს,
თუ აღარ უშვებს და
დახლებქვეშ რად არი?!

### წესის თანახმად

პურს რესტორანი „სამადლო"
არავის აჭმევს სამადლოდ...
აქ ქევხიევი გიორგი
განა ამაოდ მიმორბის;
მიმტანმა „წესის თანახმად"
იმ დღესაც გადააჭარბა:
სამს ერთდროულად სადილი
და 8 მანეთი „აჭამა".

### ნეტავ როდის?..

გინახავთ „თბილის-თელავის"
მატარებელი — სექცია?
ჰგავს ომგადახდილ ეშელონს,
ჟამს ისე გაუცრეცია.
მინებჩალეწილ კარებებს
შეაღებ, აიწურები,
ვაგონი ისე ჭრაჭუნებს,
ვით პაპიჩემის ურემი.
მაღლა ხელბარგის დასადებს
ვერ ნახავ მთელს და რიგიანს,
თითო-ოროლა საკიდზე
ორმოცი პალტო ჰკიდია.
ასეთი გახლავთ კახეთის
მატარებელი — სექცია.
ამ სასაცილო ვაგონებს
ნეტავი როდის შეცვლიან?

გაიოზ შავერზაშვილი

მთავარი
რედაქტორი
ნოდარ დუმბაძე

სარედაქციო
კოლეგია:
ზ. ბოლქვაძე
(პ/მგ. მდივანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. მალაზონია,
გ. ნიშნიანიძე
(მთავ. რედ.
მოადგილე),
ნ. შველიძე,
ო. ჭელიძე.

სატირისა და იუმორის
ჟურნალი „ნიანგი".

თბილისი, რუსთაველის
პროსპექტი № 42.
Тбилиси, Сатирико-юмористический журнал «Нианги».
ტელ. რედაქტორის
99-76-69, რედ. მოადგილის
93-49-32.
საერთო განყოფილების
93-10-78.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა. ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ.

გადაეცა ასაწყობად
12/I-71 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/II-71 წ.
ქაღალდის ზომა
70×108 1/8.
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,
პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 1,4.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის ქ.
№ 14.

ТИПОГРАФИЯ ИЗД-ВА
ЦК КП ГРУЗИИ
ТБИЛИСИ, УЛ. ЛЕНИНА № 14

შეკვ. № 140.
უე № 01625.
ტირაჟი 124.500.

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

ნახ. მ. აბრამოვისა.



ამერიკული კანონიერების დასაყრდენი.

ნახ. გ. ლომიძისა



— საოცარია პირდაპირ! დამატებით ჩამოვაფარეთ თვალებზე; ძველი სასწორი ახლით შევუცვალეთ და მაინც გაიძახიან, ამერიკაში დემოკრატია არ არისო!

ИНДЕКС 76137



66 წლის ავსტრიელი გრაფი გუსტავ აუერსპერი თავის გრაფობას ჰყიდის. მსურველს გრაფი იშვილებს, სამაგიეროდ მომავალმა შვილმა წინასწარ უნდა გადაიხადოს სულ რაღაც... 250 ათასი შილინგი.



სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტულმა ხელისუფლებამ აკრძალა თეთრკანიანი სიკვდილმისჯილი დამნაშავის იმავე სახრჩობელაზე ჩამოხრჩობა, რომელზედაც შავკანიან აფრიკელებს ჰკიდებენ.



პოპულარულმა კუალა-ლუმპურელმა (მალაიზია) „წინასწარმეტყველმა" მსოფლიო წარღვნა 1971 წლის 1 იანვრისთვის დანიშნა, თანაც დაჟინებით ურჩევდა თანამოქალაქეებს ისეთი აუცილებელი საოჯახო ნივთებითა და საგნებით მომარაგებულიყვნენ, რომლებიც საიქიოში ნამდვილად არ არსებობდა. ეს გასაგებიცაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ „წინასწარმეტყველის" ძმა კუალა-ლუმპურის უნივერსალური მაღაზიის მფლობელია.

ისრაელი მხოლოდ ისეთ ზავზე თანახმა არაბულ ქვეყნებთან, რომელიც ტელ-ავივისა და ვაშინგტონის იმპერიალისტურ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს.



ნახ. გ. ლომიძისა

სახიფათო მსგავსება




ნახ. მ. აბრამოვისა.